

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2021 წლის 22 ნოემბერი

ქ. დედოფლისწყარო

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 21/12/2020 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.169.016472) და დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი დადგენილებას თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ნუგზარ პაპიაშვილი

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი თავი I

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,982.6	5,389.9	7,592.7	13780.0	6516.4	7263.6	13547,1	5582,2	7964,9
გადასახადები	4,643.7	0.0	4,643.7	4,693.6	0.0	4,693.6	5116,7	0.0	5116,7
გრანტები	5,574.9	5,389.9	185.0	6,701.4	6,516.4	185.0	6125,4	5582,2	543,2
სხვა შემოსავლები	2,764.0	0.0	2,764.0	2,385.0	0.0	2,385.0	2,305.0	0.0	2,305.0



ხარჯები	7,173.0	164.6	7,008.4	7625,6	90.0	7535,6	8357,4	70,9	8286,5
შრომის ანაზღაურება	1,470.9	0.0	1,470.9	1,612.8	0.0	1,612.8	1612.8	0.0	1612.8
საქონელი და მომსახურება	976.5	164.6	811.9	1169,8	90.0	1079,8	1311,3	70,9	1240,4
პროცენტი	26.6	0.0	26.6	34.4	0.0	34.4	30.5	0.0	30.5
სუბსიდიები	4,260.1	0.0	4,260.1	4,254,0	0.0	4254,0	4898,0	0.0	4898,0
გრანტები	35.0	0.0	35.0	38.9	0.0	38.9	35.0	0.0	35,0
სოციალური უზრუნველყოფა	343.7	0.0	343.7	298.2	0.0	298.2	372,3	0.0	372,3
სხვა ხარჯები	60.2	0.0	60.2	217.5	0.0	217.5	97.5	0.0	97.5
საოპერაციო საღდო	5,809.6	5,225.3	584.3	6154,4	6426,4	-272,0	5189,7	5511,3	-321,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,526.2	4,587.2	939.0	8327,6	7184,0	1143,6	8027,8	6825,0	1202,8
ზრდა	5,596.3	4,587.2	1,009.1	8367,6	7184,0	1183,6	8067,8	6825,0	1242,8
კლება	70.1	0.0	70.1	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
მთლიანი საღდო	283.4	638.1	-354.7	-2173,2	-757,6	-1415.6	-2838,1	-1313,7	-1524,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	256.8	638.1	-381.3	-2226,4	-757,6	-1468.8	-2891,1	-1313,7	-1577,4
ზრდა	638.1	638.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	638.1	638.1		0.0			0.0	0.0	0.0
კლება	381.3	0.0	381.3	2226,4	757,6	1468,8	2891,1	1313,7	1577,4
ვალუტა და დეპოზიტები	381.3		381.3	2226,4	757,6	1468,8	2891,1	1313,7	1577,4
ვალდებულებების ცვლილება	-26.6	0.0	-26.6	-53.2	0.0	-53.2	-53.0	0.0	-53.0
კლება	26.6	0.0	26.6	53.2	0.0	53.2	53.0	0.0	53.0
საშინაო	26.6	0.0	26.6	53.2	0.0	53.2	53.0	0.0	53.0



ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13,052.7	13,820.0	6,516.4	7,303.6	13587,1	5582,2	8004,9
შემოსავლები	12,982.6	13,780.0	6,516.4	7,263.6	13547,1	5582,2	7964,9
არაფინანსური აქტივები კლება	70.1	40.0		40.0	40.0	0.0	40.0
გადასახდელები	12,795.9	16046,4	7274,0	8772.4	16478,2	6895,9	9582,3
ხარჯები	7,173.0	7625,62	90.0	7535,6	8357,4	70,9	8286,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,596.3	8367,6	7184,0	1183,6	8067,8	6825,0	1242,8
ვალდებულებების კლება	26.6	53.2		53.2	53.0	0.0	53.0
ნაშთის ცვლილება	256.8	-2226,4	-757,6	-1468.8	-2891,1	-1313,7	-1577,4

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 13547,1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსავლები	12,982.6	13,780.0	6,516.4	7,263.6	13547,1	5582,2	7964,9
გადასახადები	4,643.7	4,693.6	0,0	4,693.6	5116,7	0.0	5116,7
გრანტები	5,574.9	6,701.4	6,516.4	185.0	6125,4	5582,2	543,2
სხვაშემოსავლები	2,764.0	2,385.0	0,0	2,385.0	2,305.0	0.0	2,305.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 5116,7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:
ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4,643.7	4,693.6	0,0	4,693.6	5116,7	0.0	5116,7
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	1,493.1	1,477.6	0,0	1,477.0	2016,7	0.0	2016,7
ქონების გადასახადი	3150.6	3 216.0	0.0	3,216.0	3,100.0	0.0	3,100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	296.0	396.0	0.0	396.0	230.0	0.0	230.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,735.1	2,780.0	0.0	2,780.0	2,830.0	0.0	2,830.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	116.6	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან (ტრანსფერები) განისაზღვროს 6125,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021წლის პროექტი
გრანტები	5,574.9	6,701.4	6125,4



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	5,574.9	6,701.4	6125,4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	672.3	185.0	185.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	185.0	185.0	185.0
სხვა პროექტები	487.3	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4,902.6	6,516.4	5940,4
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება	4,122.4	6,260.4	5326,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	256.0	256.0	256,0
გრანტები	524.2	0.0	358,2

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2,305.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის,

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	2,764.0	2,385.0	2,305.0
შემოსავლები საკუთრებიდან	2,450.2	2,120.0	2,120.0
პროცენტები	92.0	100.0	100.0
რენტა	2,358.2	2,020.0	2,020.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2,343.7	2,000.0	2,000.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14.5	20.0	20.0
საქონლისა დამომსახურების რეალიზაცია	118.3	70.0	70.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	55.1	50.0	50.0
სანებართვო მოსაკრებელი	8.1	10.0	10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	46.8	40.0	40.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	63.2	20.0	20.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	118.1	95.0	15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	77.4	100.0	100.0



მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8357,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,173.0	7625,6	90,0	7535,6	8357,4	70,9	8286,5
შრომის ანაზღაურება	1,470.9	1,612.8	0.0	1,612.8	1612,8	0.0	1612,8
საქონელი და მომსახურება	976.5	1169,8	90,0	1079,8	1311,3	70,9	1240,4
პროცენტები	26.6	34.4	0.0	34.4	30.5	0.0	30.5
სუბსიდიები	4,260.1	4254,0	0.0	4254,0	4898,0	0.0	4898,0
გრანტები	35.0	38.9	0.0	38.9	35.0	0.0	35.0
სოციალური უზრუნველყოფა	343.7	298.2	0.0	298.2	372,3	0.0	372,3
სხვა ხარჯები	60.2	217.5	0.0	217.5	97.5	0.0	97.5

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8027,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8067,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,596.3	8367,6	8067,8

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 40.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	70.1	40,0	40,0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0



არაწარმოებული აქტივები	70.1	40.0	40.0
მიწა	70.1	40.0	40.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,782.0	3209,0	2972,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,774.6	3204,0	2967,0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,761.9	3034,0	2917,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	12.7	170.0	50.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	4.3	5.0	5.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	4.3	5.0	5.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	3.1	0.0	0.0
702	თავდაცვა	96.2	111.2	111.2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,478.4	3875,5	5486,6
7045	ტრანსპორტი	3,478.4	3875,5	5486,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,478.4	3875,5	5486,6
705	გარემოს დაცვა	1051,9	1,586.5	1234,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1019,5	780.0	924,2
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	32.4	806.5	310,3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	974,2	2237,9	1354,4
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	349.1	708.1	77,8
7064	გარე განათება	463.7	789,3	745,9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-	161,4	740.5	530,7



	კომუნალურ მეურნეობაში			
707	ჯანმრთელობის დაცვა	94.9	113.2	107,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	94.9	113.2	107,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,367.5	1,433.6	1599,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	555.6	566.6	758,1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	714.9	751.5	728.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	68.0	70.5	68.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	29.0	45.0	45.0
709	განათლება	2,316.1	2865,8	2894,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,908.5	2088,0	2398,6
7092	ზოგადი განათლება	407.6	777,8	495,9
710	სოციალური დაცვა	634.7	613,7	718,9
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	633.8	611,45	716,6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0.9	2.3	2.3
	სულ	12,795.9	16046,4	16478,2

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის საოპერაციო სალდო **5189,7** ათასი ლარი ხოლო, მთლიანი სალდო **-2838,1** ათასი ლარის ოდენობით;

მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – **2891,1** ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა – **0.0** ათასი ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება **2891,1** ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების კლება 2891,1 ათასი ლარი წარმოდგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშებზე 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთიდან გადასახდელების დასაფინანსებლად მიმართული სახსრები.

მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – **53.0** ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება **53.0** ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს **328.5** ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება **275.5** ათასი ლარი.

თავი II

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები



მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2002,3** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2021 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7151,3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება	5486,6
02 01 01	გზების შეკეთება/რეაბილიტაცია	5486,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	388,1
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	33,3
02 02 02	წყლის სისტემის მოვლა პატრონობა	44,5
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია	310,3
02 03	გარე განათება	745,9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	490,0
02 03 02	გარე განათების მოწყობა	255,9
0205	კეთილმოწყობა	530,7

კოდი	პროგრამის დასახელება	ქ. დედოფლისწყაროს მერიის არაფინანსური აქტივები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში			
01 01 02			67,0	-	-	-
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური				
პროგრამის აღწერა		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რვა სოფლის ამბულატორიები (გამარჯვება, ოზაანი, საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო, ქვ.ქედი, არხილოსკალო, ზემო ქედი) არ არის გამრიცხველიანებული, შესაბამისად არ ხდება მათი ბუნებრივი აირით მომარაგება, შესაბამისად პრობლემურია ცხელი წყლის და გათბობის სისტემის ფუნქციონირება. გაზის მრიცხველების და სისტემის მონტაჟი რვა სოფლის ამბულატორიაში -- 8000 ლარი. სოფ. სამრეკლოში სოფლის ამბულატორია განლაგებულია ერთ ოთახში, რაც მსოფლიო პანდემიის პირობებში შეუძლებელს ხდის პაციენტების და მომსახურე პესონალის მიერ ჰიგიენის დაცვას. საჭიროა იმავე შენობაში პირველ სართულზე არსებული ფართის რემონტი, გათბობის სისტემის მონტაჟი და ცხელი წყლით მომარაგება ---- 35000 ლარი. სოფ.საბათლოს, სოფ.ფიროსმანის და სოფ.არხილოსკალოს საბავშვო ბაღებში სამზარეულოს ფუნქციონერებისთვის მოსაწყობია სამფაზიანი ელ. მრიცხველები. სოფ. საბათლოს ბაღი ----4700 ლარი. სოფ ფიროსმანის ბაღი --- 4700 ლარი				



	სოფ. არხილოსკალოს ბაღი -- 4300 ლარი
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემოთ ჩამოთვლილ რვა სოფლის ამბულატორიები მომარაგებულია ბუნებრივი აირით. ფუნქციონირებს გათბობის და ცხელი წყლის სისტემები. სოფ სამრეკლოში ფუნქციონირებს ჰიგინის ყველა ნორმის დაცვით მოქმედი ამბულატორია. სოფ საბათლოს, ფიროსმანის და არხილოსკალოს ბაღების სამზარეულოებში შეყვანილია სამფაზიანი ელ. ხაზები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების შეკეთება რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში			
02 01 01			5486,6			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საანგარიშო წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული შიდა მუნიციპალიტეტური გზების ტექნიკური მომსახურება ორმოების შეკეთება ცხელი ასფალბეტონით სისქით 4 სმ -1500 მ² 1 მ² -30 ლარი. სულ 45000 ლარი. გზებზე მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა --18000 ლარი. ზამთრის შენახვა -17000 ლარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში №7 გზაზე გაკეთდება ბოგირი სანიაღვრე წყლის გასატარებლად - 17651,21 ლარი. ქ. დედოფლისწყაროში პუშკინის ქუჩაზე შეკეთდება დაზიანებული სანიაღვრე გამტარი არხი -1600,63 ლარი.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;				

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02			388,1
პროგრამის			



განმახორციელებელი სამსახური	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია; - წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა; წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 14 სოფლის ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			44,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის 6 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით		

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების მოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 02			255,9	-	-	-
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური					

პროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ქ. დედოფლისწყაროში ფუნქციონირებს შეფერხებებით, რადგან მრიცხველებთან განთავსებული ავტომატური ამომრთველები ვერ უძლებს სხვადასხვა პროგრამით დამატებულ დატვირთვებს, შესაბამისად ზოგიერთი უბანი საჭიროებს დატვირთვების გაყოფას და მრიცხველების (შესაბამისად აბონენტის) დამატებას. ამჟამად გამოკვეთილია ასეთი პრობლემური (6) ექვსი უბანი
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დამის საათებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა;

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			490.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. დედოფლისწყაროში და 12 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4 070 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები, ხმარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 4 070 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დამის საათებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულა დასახლებული ტერიტორიების 100%;		

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში			
02 05			530,7	-	-	-
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური					



პროგრამის აღწერა	ქ. დედოფლისწყაროსი რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40-ის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწყობია ასფალტო-ბეტონის საფარი ---- 9254 ლარი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის სოფელ ზემო მაჩხაანთან დამაკავშირებელ შიდა საავტომობილო გზაზე ჩამოშლილი კედლის მოწყობა -----12057,86 ლარი სოფელ არბოშიკში აფხაზეთის ომში დაღუპული გმირი ვახტანგ სეფიაშვილის მემორიალური დაფის მოწყობის სამუშაოები. ---1453,9 ლარი
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქ. დედოფლისწყაროსი რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40-ის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ასფალტო-ბეტონის საფარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის სოფელ ზემო მაჩხაანთან დამაკავშირებელ გზაზე აღდგენილია ჩამოშლილი კედელი. სოფ. არბოშიკში მოწყობილია აფხაზეთის ომში დაღუპული გმირის ვახტანგ სეფიაშვილის მემორიალური დაფა

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **924,2 ათასი ლარი**. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2021 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	924,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	900,2
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	24.0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01			900,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და 4 ერთეული თვითმცლელი. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დედოფლისწყაროდან და მუნიციპალიტეტის 10 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 525 ერთეულს, მათ შორის 122 განთავსებულია ქ. დედოფლისწყაროში და 403 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 60-70 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 241 628 მ² ქუჩების, 10 748 მ² ტროტუარების და 29 830მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი	



	მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. პროგრამის ფარგლებში ქ.დედოფლისწყაროში, მიმდებარე სოფლებში (სამრეკლო, ხორნაბუჯი) ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. პროგრამის ფარგლებში სუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი გზები და კიუვეტები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიიდან გარდა სამი სოფლისა (საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო)
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			24.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 4 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეცხვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2496,0 ათასი ლარი**. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	2894,5
04 0101	სკოლამდელი განათლება	2000,0
04 02	ზოგადი განათლება	495,9
04 0102	სკოლამდელი განათლება (არაფინანსური აქტივი)	398,6



კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01 01			2,000.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი	
პროგრამის აღწერა		საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეისმდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1 000-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავშვ-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 238 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პერსონალი - 15, სააღმზრდელოს ადმინისტრაციაში - 17.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1599,1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1599,1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	758,1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	458,1
05 01 01 02	სპორტული დარბაზების/მოედნების მშენებლობა, რეაბილიტაცია	458,1
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	300.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	728.0
05 02 01	კულტურის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა	678.0



05 02 01 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელშეწყობა	77.0
05 02 01 02	კულტურის სახლების ხელშეწყობა	250.0
05 02 01 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	77.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	51.5
05 02 01 05	ძეგლთა დაცვის ხელშეწყობა	8.5
05 02 01 06	ხელოვნების სკოლის ხელშეწყობა	164.0
05 02 01 07	3. გონაშლის ქართული გალობისა და სიმღერის სკოლის ხელშეწყობა	50.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა	50.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	45.0
05 04	პრესის მომსახურება(საზოგადოების ინფორმირებულობა)	68.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი		
